დამტკიცებულია
სსიპ _ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2013 წლის " 22.10 "
№129/01-01 ბრძანებით

გამოცდის ჩატარების პროცედურა

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. აღნიშნული წესი არეგულირებს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველთათვის გამოცდის ჩატარების პროცედურას.

მუხლი 2. აპლიკანტის უფლებები და ვალდებულებები გამოცდის ჩატარებისას

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარების მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს თსუ-ს საგამოცდო ცენტრში რეგისტრაციაზე და თან იქონიოს დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი.
2. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი გამოცდაზე არ დაიშვება.
3. თსუ უფლებამოსილია გადაამოწმოს გამოცდაზე გამოცხადებული აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
4. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული დამატებითი გამოცდის ჩატარება, მიუხედავად იმისა, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა გამოწვეულია საპატიო მიზეზით თუ არა.
5. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
ა) წყალი;
ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
გ) დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი;
დ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები, თსუ-ს საგამოცდო ცენტრის წინასწარი თანხმობით.
6. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის დროს აპლიკანტს ეკრძალება:
ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა გამოყენება, გარდა თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;
გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

დ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანმხლებ პირთან ერთად;
ე) მუშაობის დაწყება შესაბამისი მითითების გარეშე.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის დროს წესის დარღვევა

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის დროს აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში.
2. ამ ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის განმეორების შემთხვევაში, აპლიკანტი იხსნება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდიდან.

მუხლი 4. თსუ-ს საგამოცდო ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოცდაზე დასწრება

1. გამოცდას უნდა ესწრებოდნენ თსუ-ს საგამოცდო ცენტრის წარმომადგენლები, კომისიის თავმჯდომარე, ტესტის გამსწორებლები და ტექნიკური პერსონალი (ასლის გადასაღებად).
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საგამოცდო ცენტრში ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდის მიმდინარეობას, მათ ეკრძალებათ გამოცდის შინაარსთან დაკავშირებით აპლიკანტის დახმარება ან მათი მუშაობისთვის ხელის შეშლა.

მუხლი 5. გამოცდის ფორმა

1. გამოცდის ფორმა განისაზღვროს ტესტის სახით.
2. ტესტის გარეკანზე უნდა მიეთითოს აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სპეციალობა, საფეხური და თარიღი.
3. ტესტში სწორი პასუხი უნდა შემოიხაზოს. ორი ან მეტი პასუხის შემოხაზვის შემთხვევაში პასუხი ანულირდება და ქულა დაითვლება კითხვების საერთო რაოდენობიდან.
4. ტესტის შემოწმება და აპლიკანტის მიერ დაგროვებული სწორი პასუხების რაოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ტესტირების პარალელურ რეჟიმში.
5. თითოეულ ტესტს დაეთმობა არაუმეტეს 90 წუთისა.
6. ტესტის შეჯამება უნდა მოხდეს 100 ქულიანი სისტემით. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს 20 ქულა.